საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფორმაცია მშენებლობაზე გაცემული ნებართვებისა და ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების შესახებ

2023 წლის იანვარი - მარტი

28.04.2023 | www.geostat.ge

28.04.2023

ინფორმაცია მშენებლობაზე[1] გაცემული ნებართვებისა და ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების შესახებ 2023 წლის იანვარ-მარტში

ოფიციალური დეკლარირებული მონაცემებით, საქართველოში 2023 წლის იანვარი-მარტის პერიოდში გაცემულია 2 195 ნებართვა (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.5 პროცენტით ნაკლები) 1 689.9 ათასი კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 11.4 პროცენტით მეტი). ნებართვების 74.9 პროცენტი მოდის ქვეყნის 4 რეგიონზე, კერძოდ, 49.2 პროცენტი მოდის ქ. თბილისზე, 10.1 პროცენტი - მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე, 8.5 პროცენტი - ქვემო ქართლის რეგიონზე და 7.1 პროცენტი - იმერეთის რეგიონზე.

მშენებლობაზე გაცემული ნებართვების პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით, 2023 წლის იანვარი -მარტი



აღსანიშნავია, რომ 2023 წლის იანვარ-მარტში ნებართვები გაიცა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსების, სავაჭრო ობიექტების, სასტუმროების, სამრეწველო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებისა და სხვა შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე.

[1] იგულისხმება როგორც ახალი მშენებლობა, აგრეთვე რეკონსტრუქცია

28.04.2023

2023 წლის იანვარ-მარტში ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 539.5 ათასი კვ.მ ფართობის (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.2 პროცენტით ნაკლები) 689 ობიექტი (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 24.8 პროცენტით მეტი).

ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების ნახევარზე მეტი მოდის ქვეყნის 4 რეგიონზე, კერძოდ, 28.9 პროცენტი მოდის ქ. თბილისზე, 17.3 პროცენტი - მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე, 11.8 პროცენტი - კახეთის რეგიონზე და 9.9 პროცენტი - იმერეთის რეგიონზე.

ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით, 2023 წლის იანვარი-მარტი



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

ალექსანდრე არაბული, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: aarabuli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge